საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000095649711818

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 44 25 / დეკემბერი / 2018 წ.

## განკარგულება

### ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ხალაწნის მაჟორიტარი - მაგდანა ალხანაშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ე-ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის № 36 დადგენილებით დამტკიცებული „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს მე-13 მუხლის მე-5, მე-7, მე-9 პუნქტების საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეუწყდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ხალაწნის მაჟორიტარს მაგდანა ალხანაშვილს ვადამდე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაევალოს ამ განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გადაუგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი